

შპს „სტრონგ ვოში“  
ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა  
2023 წლის 31 დეკემბერს

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

---

სარჩევი

|                                    |      |
|------------------------------------|------|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება | 3    |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება       | 4    |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება       | 5    |
| კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება    | 6    |
| განმარტებით შენიშვნები             | 7-15 |

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს  
(ლარებში)

| შენიშვნა                                      | 2023             | 2022             | 2021             |
|-----------------------------------------------|------------------|------------------|------------------|
| <b>აქტივები</b>                               |                  |                  |                  |
| <i>გრძელვადიანი აქტივები</i>                  |                  |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                          | 561,299          | 379,840          | 152,552          |
| არამატერიალური აქტივები                       | 2,871            | 2,871            |                  |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>              | <b>564,170</b>   | <b>382,711</b>   | <b>152,552</b>   |
| <i>მიმდინარე აქტივები</i>                     |                  |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები                   | 107,486          | 8,983            | 27,982           |
| სავაჭრო მოთხოვნები                            | 183,276          | 167,475          | 32,995           |
| გადახდილი ავანსები                            | 268,789          | 192,940          | 87,743           |
| სასაქონლო-მატერიალური მარაგები                | 1,246,109        | 870,107          | 974,433          |
| სხვა მიმდინარე აქტივები                       | 933              | 933              | 847              |
| <b>სულ მიმდინარე აქტივები</b>                 | <b>1,806,592</b> | <b>1,240,438</b> | <b>1,124,000</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                           | <b>2,370,762</b> | <b>1,623,149</b> | <b>1,276,552</b> |
| <i>საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</i>     |                  |                  |                  |
| <i>საკუთარი კაპიტალი</i>                      |                  |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                            | 56,427           | 39,577           |                  |
| გაუნაწილებელი მოგება (ზარალი)                 | 1,563,314        | 788,111          | 310,289          |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>                  | <b>1,619,741</b> | <b>827,688</b>   | <b>310,289</b>   |
| <i>ვალდებულებები</i>                          |                  |                  |                  |
| სავაჭრო ვალდებულებები                         | 210,103          | 133,002          | 179,686          |
| მოკლევადიანი ნასესხები სახსრები               |                  |                  | 199,567          |
| გრძელვადიანი ნასესხები სახსრები               | 485,496          | 636,960          | 515,388          |
| სხვა ვალდებულებები                            | 55,423           | 25,499           | 71,722           |
| <b>სულ ვალდებულებები</b>                      | <b>751,021</b>   | <b>795,461</b>   | <b>966,363</b>   |
| <b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b> | <b>2,370,762</b> | <b>1,623,149</b> | <b>1,276,652</b> |

7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „შპს სტრონგ ვოში“**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ლარებში)

| შენიშვნა                                 | 2023             | 2022           |
|------------------------------------------|------------------|----------------|
| შემოსავალი რეალიზაციიდან                 | 3,448,012        | 3,605,394      |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება | (2,086,233)      | (2,670,183)    |
| <b>საერთო მოგება</b>                     | <b>1,361,780</b> | <b>935,211</b> |
| სხვა საოპერაციო შემოსავლები              |                  | 223,891        |
| საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები        | (596,618)        | (657,408)      |
| ფინანსური შემოსავალი                     | -                | -              |
| <b>საოპერაციო მოგება</b>                 | <b>765,162</b>   | <b>501,693</b> |
| სხვა არასაოპერაციო შემოსავლები/(ხარჯები) | 10,224           |                |
| წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი)          | (183)            | (23,872)       |
| სავალუტო ოპერაციებიდან                   |                  |                |
| <b>მოგება დაბეგვრამდე</b>                | <b>775,203</b>   | <b>477,821</b> |
| მოგების გადასახადი                       |                  |                |
| <b>წმინდა მოგება</b>                     | <b>775,203</b>   | <b>477,821</b> |
| სრული შემოსავალი წლის განმავლობაში       | <b>775,203</b>   | <b>477,821</b> |

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარებში)

|                                                              | 2023        | 2022        |
|--------------------------------------------------------------|-------------|-------------|
| საოპერაციო საქმიანობა                                        |             |             |
| მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები                     | 3,592,019   | 4,077,384   |
| მომწოდებლებსა და დასაქმებულ პირებზე გაცემული ფულადი სახსრები | (3,503,740) | (4,294,882) |
| სხვა შემოსავლები/(ხარჯები)                                   | 10,224      | 198,499     |
| ნეტო ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან                | 98,503      | (18,999)    |
| ნეტო ფულადი სახსრების შემოსვლა ან (გასვლა) წლის განმავლობაში | 98,503      | (18,999)    |
| ფულადი სახსრები წლის დასაწყისისათვის                         | 8,983       | 27,982      |
| ფულადი სახსრები წლის ბოლოს                                   | 107,486     | 8,983       |

დირექტორი:

ბუღალტერი:



7-15 გვერდებზე არსებულ შენიშვნები წარმოადგენს მოკლებულ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგება

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | აკუმულირებული<br>მოგება/ზარალი | სულ       |
|-----------------------------------|-----------------------|--------------------------------|-----------|
| ნაშთი -31.12.2021წ.               | 14322.2               | 309,803                        | 324,125   |
| 2022 წლის წმინდა მოგება /(ზარალი) |                       |                                |           |
| ნაშთი - 31.12.2022 წ.             | 39,577                | 788,111                        | 827,688   |
| 2023 წლის წმინდა მოგება/ (ზარალი) |                       |                                |           |
| ნაშთი - 31.12.2023 წ.             | 56,427                | 1,563,314                      | 1,619,741 |

დირექტორი:

ბუღალტერი:





## შპს „შპს სტრონგ ვოში“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

#### ზოგადი ინფორმაცია

შპს „სტრონგ ვოში“ დაფუძნდა 2020 წლის 12 თებერვალს საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. კომპანიის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება (შპს), რომლის შესაბამისი წილის მმართველები არის:

- შოთა მეტრეველი (01019057682) 100%

კომპანიის ხელმძღვანელობისთვის უფლებამოსილი პირია: შოთა მეტრეველი - დირექტორი

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს:

-საპნის და სარეცხი საშუალებების საწმენდი და საპრიალებელი საშუალებების წარმოება

-სამრეწველო ტექნიკის და მოწყობილობების დაყენება

-საბითუმო ვაჭრობა რკინა-კაველით წყალგაყვანილობის და გასათბობი მოწყობილობებით და ინვენტარით

კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქალაქი თბილისი, სამგორის რ-ნი, მიხეილ კეკელიძის ქ. 6

#### მომზადების საფუძვლები ა) ანგარიშგების შესაბამისობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიამ მოამზადა ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოშვებული მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს-ის სტანდარტების) მიხედვით. ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს გარკვეულ მნიშვნელოვან სააღრიცხვო შეფასებებს როგორც ამას მოითხოვს მსს ფასს. ფინანსური ანგარიშგების არეები, რომლისთვისაც ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესში კომპანია იყენებს მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოცემულია მე-3 შენიშვნაში.

ფინანსური ანგარიშგება დამოწმებულია ხელმძღვანელობის მიერ და მათი სახელით ხელმოწერილია 2024 წლის 26 აგვისტოს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი, რომელიც იწყება 1 იანვარს და სრულდება 31 დეკემბერს.

#### ბ) ფინქციონირების უწყვეტობა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. კომპანიის მენეჯმენტსა და მფლობელებს სურვილი აქვთ, განავითარონ კომპანიის საქმიანობა საქართველოში. მენეჯმენტს სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისათვის.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და გადაწყვეტილებების შემუშავებას მომავალი პერიოდებისათვის. შეფასებები და გადაწყვეტილებები შემუშავებულია გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, რომელიც ითვალისწინებს საწარმოს ფუნქციონირებას განსაზღვრული მომავლის პირობებში. მომავალ პერიოდებში მიღებული გამოცდილება შესაძლოა განსხვავებული იყოს ამ შეფასებებისა და დაშვებებისაგან. ქვემოთ მოყვანილია ის შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მომდევნო ფინანსურ წელში აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებში არსებითი ცვლილებების რისკის მატარებელია:

## შპს „შპს სტრონგ გოში“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

- ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დარიცხვა ხდება მათი სასარგებლო მომსახურების ვადების განმავლობაში. სასარგებლო მომსახურების ვადების განსაზღვრა ხდება ხელმძღვანელობის შეფასებებზე დაყრდნობით, თუ რა პერიოდის განმავლობაში აპირებს კომპანია აქტივიდან სარგებლობის მიღებას. პერიოდულად ხდება შეფასებების სისწორის შემოწმება. სააღრიცხვო შეფასებების ცვლილებებმა შეიძლება მნიშვნელოვანი ვარიაციები გამოიწვიოს საბალანსო ღირებულებებსა და პერიოდის სრული შემოსავლის მუხლებში.
- სასამართლო დავები. კომპანია აღიარებს მხოლოდ ისეთ ანარეცხებს, როცა არსებობს მიმდინარე ვალდებულება წარმოშობილი წარსულში მომხდარი მოვლენის გამო, მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გადაცემა და მისი შეფასება საიმედოდაა შესაძლებელი.

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების პირველად გამოყენება ანგარიშგება წარმოადგენს ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის შესაბამისად მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებას. მსს ფასს-ების შესაბამისი სააღრიცხვო პოლიტიკა გამოყენებულია 2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგებისთვის.

სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები ქვემოთ წარმოდგენილია სააღრიცხვო პოლიტიკის ის ძირითადი პრინციპები, რომლებიც კომპანიამ გამოიყენა ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებისათვის.

#### ოპერაციები უცხოურ ვალუტაში

##### ა) შეფასების და წარდგენის ვალუტა

ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მუხლები წარმოდგენილია იმ ქვეყნის ვალუტაში, სადაც კომპანია ფუნქციონირებს (ფუნქციონალური ვალუტა). ამგვარად, მოცემული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში, რომელიც კომპანიის ფუნქციონალური და წარსადგენი ვალუტაა.

უცხოურ ვალუტაში ასახული ოპერაციების გადაყვანა ფუნქციონალურ ვალუტაში ხდება ოპერაციის მოხდენის ან აქტივების/ვალდებულებების შეფასების დღისთვის არსებული გასაცვლელი კურსით. ასეთი ოპერაციებიდან, ასევე წლის ბოლოს უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული მუხლების შეფასებიდან წარმოშობილი საკურსო სხვაობებიდან მიღებული მოგება და ზარალის აღიარება ხდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში.

| საქართველოს ეროვნული ბანკის ოფიციალური კურსი | დოლარი | ევრო   |
|----------------------------------------------|--------|--------|
| კურსი 2023 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.6894 | 2.9753 |
| კურსი 2022 წლის 31 დეკემბრისთვის             | 2.7020 | 2.8844 |



## შპს „შპს სტრონგ გოში“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

#### ხარჯების აღიარება

კომპანია გასწევს ხარჯებს საქმის წარმოებაზე თავის საოპერაციო საქმიანობის პროცესში.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა შემცირება მომავალი ეკონომიკური სარგებლისა, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს.

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, გაწეული ხარჯებისა და შემოსავლების შორის უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, შემოსავლების კონკრეტული მუხლების მიხედვით.

თუკი ეკონომიკური სარგებლის წარმოშობა მოსალოდნელია რამდენიმე საანგარიშო პერიოდის მანძილზე და კავშირი შემოსავალთან შეიძლება მოიძებნოს მთლიანად ან ნაწილობრივ, მაშინ მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში ხარჯის აღიარება მოხდება რაციონალური გადანაწილების მეთოდით.

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ბალანსში აისახება ისტორიულ ღირებულებას მინუს დაგროვილი ცვეთის თანხა. ისტორიული ღირებულება მოიცავს აქტივის შეძენასთან დაკავშირებულ ყველა პირდაპირ დანახარჯს.

ძირითადი საშუალებების შემენის შემდგომი დანახარჯები უნდა დაემატოს ამ აქტივის ღირებულებას, ან აღიარდეს ცალკე აქტივად, თუ: მოსალოდნელია, რომ საწარმო მომავალში ამ აქტივის გამოყენებით მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და საწარმოსათვის შესაძლებელია აქტივის ღირებულების საიმედოდ შეფასება. საწარმო არ აღიარებს ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში მისი ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებს, ეს დანახარჯები აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

აქტივის ცვეთის თანხა უნდა განაწილდეს სისტემატურ საფუძველზე, მათი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში შემდეგნაირად:

| ჯგუფი                    | სასარგებლო მომსახურების ვადა (წელი) |
|--------------------------|-------------------------------------|
| სატრანსპორტო საშუალებები | 15                                  |
| ოფისის სტრუქტურა         | 10                                  |
| ავეჯი და სხვა ინვენტარი  | 10                                  |
| მანქანა-დანადგარები      | 15                                  |

ძირითადი საშუალებების შემოსვლისას ცვეთის გაანგარიშება იწყება მაშინ, როდესაც შესაძლებელია მისი გამოყენება, ანუ, როდესაც ის არის იმ ადგილას ან ისეთ სამუშაო მდგომარეობაში მოყვანილი, რაც აუცილებელია მისი გამოსაყენებლად. თუ ძირითადი საშუალება შევიდა ექსპლუატაციაში, მას ცვეთა ერიცხება მისი აღიარების შეწყვეტამდე. ძირითად საშუალებებს ცვეთა ერიცხება წრფივი ცვეთის მეთოდით, მათი სასარგებლო მომსახურების ვადების შესაბამისად.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშობა ძირითადი საშუალებების ერთეულის აღიარების შეწყვეტისას, უნდა განისაზღვროს, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა (თუ ასეთი არსებობს) და მათ საბალანსო ღირებულებას შორის.

## შპს „შპს სტრონგ გოში“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

#### მოგების გადასახადი

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) და ასევე, მოგების გადასახდით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადასახადები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა). ამ შემთხვევაში მოგების განაწილება იბეგრება 15/85 პროპორციით. გარდა ამისა კომპანია არ იხდის მოგების გადასახადს იმ შემთხვევაში, თუ ახორციელებს მოგების განაწილებას დივიდენდის სახით 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან. რის გამოც მოგების გადასახადის ხარჯი არ აღიარდება ფინანსურ ანგარიშგებაში.

#### ვალდებულებები

ვალდებულებები მოცემულია თვითღირებულებით, რომელიც უნდა ანაზღაურდეს და წარმოშობილია მიღებული მომსახურებისა და შეძენილი საქონლისთვის.

ვალდებულებები, რომელთა დაფარვის ვადა ერთ წელზე მეტია, ასახულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები.

#### ბალანსის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ძირითადი საშუალებები ძირითადი საშუალებები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| ისტორიული ღირებულება             | სატრანსპორტო საშუალებები | მიწა    | მანქანა დანადგარები | ავეჯი და სხვა ინვენტარი | იჯარით აღებული ფართის კეთილმოწყობა | ინვენტარი | კომპიუტერული ტექნიკა | დაუმთავრებელი მშენებლობა | არამატერიალური აქტივები | სხვა ამორტიზებული ძირ. საშ. | ოფისის აღჭურვილობა და ინვენტარი | სულ     |
|----------------------------------|--------------------------|---------|---------------------|-------------------------|------------------------------------|-----------|----------------------|--------------------------|-------------------------|-----------------------------|---------------------------------|---------|
| ისტორიული ღირებულება 31.12.2021  |                          |         | 6,598               | 619                     | 3,055                              |           |                      |                          | 2,279                   |                             |                                 | 12,550  |
| შემოსვლა                         | 102,366                  | 205,271 | 42,235              | 5,130                   | 99,056                             | 518       | 2,938                | 135,216                  | 1,250                   | 4,031                       | 11,463                          | 609,475 |
| გასვლა                           |                          |         |                     |                         |                                    |           |                      |                          |                         |                             |                                 |         |
| ისტორიული ღირებულება 31.12.2023  | 102,366                  | 205,271 | 48,833              | 5,749                   | 102,111                            | 518       | 2,938                | 135,216                  | 3,529                   | 4,031                       | 11,463                          | 622,025 |
| დაგროვილი ცვეთა                  |                          |         |                     |                         |                                    |           |                      |                          |                         |                             |                                 |         |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2021       |                          |         |                     |                         |                                    |           |                      |                          |                         |                             |                                 |         |
| ცვეთა                            | 7,856                    |         | 9,892               | 916                     | 36,398                             | 35        | 362                  |                          | 658                     | 212                         | 1,527                           | 57,855  |
| დაგროვილი ცვეთა 31.12.2023       | 7,856                    |         | 9,892               | 916                     | 36,398                             | 35        | 362                  | -                        | 658                     | 212                         | 1,527                           | 57,855  |
| საბალანსო ღირებულება             |                          |         |                     |                         |                                    |           |                      |                          |                         |                             |                                 |         |
| საბალანსო ღირებულება 31.12. 2021 | -                        |         | 6,598               | 619                     | 3,055                              | -         | -                    | -                        | 2,279                   | -                           | -                               | 12,550  |
| საბალანსო ღირებულება 31.12. 2023 | 94,510                   | 205,271 | 38,941              | 4,833                   | 65,713                             | 483       | 2,576                | 135,216                  | 2,871                   | 3,820                       | 9,936                           | 564,170 |



შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ფულადი სახსრები

ფულადი სახსრები გულისხმობს ფულს საბანკო ანგარიშებზე და დეპოზიტებს ბანკებში მოთხოვნამდე.

|                                               | 2023   | 2022  | 2021   |
|-----------------------------------------------|--------|-------|--------|
| ფული საბანკო ანგარიშზე (ლარი)                 | 39 046 | 8 619 | 25 473 |
| ფული საბანკო ანგარიშზე (ევრო)                 | 155    | 1     | 26     |
| ექვ. ლარში                                    |        |       |        |
| ფული საბანკო ანგარიშზე<br>(დოლარი) ექვ. ლარში | 196    | 0     | 12     |
| სულ                                           | 39 397 | 8 620 | 25 511 |

სავაჭრო მოთხოვნები და სხვა მიმდინარე აქტივები

|                         | 2023    | 2022    | 2021    |
|-------------------------|---------|---------|---------|
| სავაჭრო მოთხოვნები      | 183 276 | 167 475 | 32 995  |
| გადახდილი ავანსები      | 268 789 | 192 940 | 87 743  |
| სხვა მიმდინარე აქტივები | 933     | 933     | 847     |
| სულ                     | 452 998 | 361 348 | 121 585 |

შემოსავალი რეალიზაციიდან

| შემოსავალი                                      | 2022        | 2022        | 2021        |
|-------------------------------------------------|-------------|-------------|-------------|
| საქონლის მიწოდებიდან მიღებული<br>შემოსავალი     | 3 438 736   | 3 604 970   | 2 57 316    |
| მომსახურების მიწოდებიდან მიღებული<br>შემოსავალი | 9 276       | 424         |             |
| რეალიზებული პროდუქციის<br>თვითღირებულება        | (2 086 233) | (2 670 183) | (1 583 179) |
| სულ                                             | 1 361 780   | 935 211     | 574 137     |

**შპს „შპს სტრონგ ვოში“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

ადმინისტრაციული ხარჯები ადმინისტრაციული ხარჯები 2023 წლის განმავლობაში შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

| #       | ხარჯების დასახელება                     | 2023    | 2022    |
|---------|-----------------------------------------|---------|---------|
| 7,140   | დამხმარე მასალების დანახარჯები / შეძენა |         | 5,574   |
| 7,141   | დამხმარე მასალები წარმოებაში            |         | 1,087   |
| 7,180   | რემონტის ხარჯები                        |         | 126     |
| 7,181   | დაცვა                                   |         | 110     |
| 7,310   | რეკლამის ხარჯები                        | 10669   | 6,818   |
| 7,311   | უსასყიდლოდ მიწოდება (საჩუქარი)          | 7786    | 1,578   |
| 7,390   | მიწოდების სხვა ხარჯები                  | 1568    |         |
| 7,410   | შრომის ანაზღაურება                      | 295293  | 339,273 |
| 7,415   | სოციალური დანარიცხები                   | 6572    | 6,711   |
| 7,420   | საიჯარო ქირა                            | 25105   | 47,399  |
| 7,425   | მცირე ფასიანი ინვენტარი                 | 229     | 345     |
| 7,426   | საკანცელარიო ხარჯები                    | 303     | 511     |
| 7,427   | კომუნალური გადასახადი                   | 14450   | 10,871  |
| 7430/1  | ინტერნეტი                               | 873     | 253     |
| 7430/3  | საოფისე-სამეურნეო ხარჯები               | 1200    | 28      |
| 7,435   | კომუნიკაციის ხარჯები                    | 325     | 962     |
| 7,441   | საწვავის ხარჯები                        | 53569   | 70,030  |
| 7,445   | რემონტის ხარჯები                        | 10288   | 49,269  |
| 7,446   | ავტომობილის ხარჯი                       | 35335   | 19,027  |
| 7,450   | კომპიუტერის ხარჯები                     | 755     | 215     |
| 7,451   | საკონსულტაციო ხარჯები                   | 11150   | 6,402   |
| 7,452   | ელ.მოწყობილობების რეციკლირება           | 69      | 219     |
| 7,469   | ბანკის მომსახურება (კონვერტაციის დროს)  | 12598   | 30      |
| 7,470   | ბანკის საკომისიო                        | 14611   | 17,939  |
| 7475    | მივლინების ხარჯები                      | 3878    | 2,856   |
| 7,476   | სამეურნეო ხარჯი                         | 133     | 222     |
| 7,485   | წარმომადგენლობითი ხარჯები               | 25      | 137     |
| 7490/5  | ობიექტის დაცვის ხარჯი                   |         | 330     |
| 7490/7  | ოფისის ხარჯი                            |         | 64      |
| 7490/4  | სხვადასხვა                              | 19064   | 5,494   |
| 8210/01 | სესხის % ევროში                         | 44273   | 32,022  |
| 8290/2  | სესხის გადაცილებაზე ჯარიმა              |         | 130     |
| 7,455   | ცვეთა და ამორტიზაცია                    | 18336   | 27,732  |
| 7,465   | სხვა საგადასახადო ხარჯები               | 8162    | 3,641   |
|         |                                         | 596,618 | 657,408 |



## შპს „შპს სტრონგ ვოში“

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

#### პოტენციური ვალდებულებები ეკონომიკური განვითარების ტენდენციები საქართველოში

ქართული ეკონომიკა ჯერ კიდევ მოიცავს ბაზრის განვითარებასთან დაკავშირებულ რისკებს, რაც გულისხმობს: არასათანადოდ განვითარებულ ბიზნესის ინფრასტრუქტურასა და საწარმოთა საქმიანობის რეგულირების ნორმატიულ ბაზას, ეროვნული ვალუტის შეზღუდულ კონვერტულობას, უცხოური ვალუტაში ოპერაციების განხორციელების შეზღუდვასა და ლიკვიდურობის დაბალ მაჩვენებელს კაპიტალის ბაზარზე. საქართველოს მთავრობამ უკვე მიიღო გარკვეული ზომები აღნიშნული პრობლემების გადასაჭრელად, მიუხედავად ამისა, საკანონმდებლო და საფინანსო სისტემის დარეგულირებასთან დაკავშირებული რეფორმები ჯერ კიდევ არ არის დასრულებული. ასევე მნიშვნელოვანი იქნება ახალი კორონავირუსის პირობებში წარმოქმნილი რისკების გავლენა კომპანიის ფინანსურ შედეგებზე.

#### იურიდიული ვალდებულებები

კომპანიას ჩვეული საქმიანობის პროცესში საქმე არ აქვს სასამართლო სარჩელებსა და პრეტენზიებთან. იმ შემთხვევაში თუ კომპანიას ექნებოდა სასამართლო სარჩელები და პრეტენზიები, მაშინ იგი სათანადოდ ასახავდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნულ ოპერაციებს, თუ ამ ოპერაციებს არსებითი გავლენა ექნებოდა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე.

**12. კომპანიის საქმიანობის უწყვეტობა** კომპანიის ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისეთი დაშვების საფუძველზე, რომელიც გულისხმობს, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას განუსაზღვრელი დროით მომავალში. ეს ვარაუდი ითვალისწინებს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში. ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს მასში ასახული აქტივების თანხების რაიმე სახის კორექტირებებს, რომელიც აუცილებელი იქნებოდა იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას არ ექნებოდა მომავალში საქმიანობის გაგრძელების შესაძლებლობა ან მოახდენდა საკუთარი აქტივების რეალიზაციას არა თავისი ჩვეული საქმიანობის პირობებში.

#### 13. სესხებთან დაკავშირებული ოპერაციები

კომპანია სარგებლობს თიბისი ბანკიდან აღებული სესხებით

-2021 წლის 21 აპრილის #7133217-11396642 ხელშეკრულებით თანხით 115 000 ევრო

-2022 წლის 14 მარტის #7133217-11897712 ხელშეკრულებით 98 800 ევრო

-2022 წლის 08 სექტემბრის #71333217-12191524 ხელშეკრულებით 65 000 ევრო.

2021 წელს დაფარულია სესხის ძირიდან 15 134,91 ევრო ექვ. ლარში 55 524

2022 წელს დაფარულია სესხის ძირიდან 42 281,23 ევრო ექვ. ლარში 128 599

2023 წელს დაფარულია სესხის ძირიდან 53 447.89 ევრო ექვ. ლარში 151 464

## შპს „შპს სტრონგ ვოში“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

საანგარიშო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს (ლარში)

### 14. ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც წარმოდგენილია ბასს 24-ში „ინფორმაცია დაკავშირებულ მხარეებზე“, წარმოადგენს:

(ა) მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან არაპირდაპირ ერთი ან რამდენიმე შუამავლით აკონტროლებენ, კონტროლდებიან ან არიან ერთობლივი კონტროლის ქვეშ კომპანიასთან (მათ შორის, დამფუძნებელ კომპანიასა და ფილიალებთან), ფლობენ წილს კომპანიაში, რაც მნიშვნელოვანი გავლენის მიზეზია და ფლობენ საერთო კონტროლს კომპანიაზე;

(ბ) კომპანიის ან მისი მშობელი საწარმოს ძირითად მმართველ პერსონალს; (გ) (ა) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილთა ოჯახის წევრებს;

(დ) მხარეებს, რომლებიც წარმოადგენენ (გ) ან (ბ) პუნქტში ჩამოთვლილი პირების მიერ კონტროლირებად ან ერთობლივად კონტროლირებად საწარმოებს, ან ამ პირებს მნიშვნელოვანი გავლენა აქვთ მათზე, ან ასეთ საწარმოში ხმის მიცემის უფლება პირდაპირ ან არაპირდაპირ ამ პირების ხელშია. დაკავშირებულ მხარეებთან ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება ექცევა ამ ურთიერთობის არსს და არა უბრალოდ იურიდიულ ფორმას.

კომპანიის დირექტორზე 2020-2021 წლის განმავლობაში არ გაცემულა შრომითი ანაზღაურება, ხელფასი. 2022 წელს მასზე გაცემულია 10 880 ლარი.

### დირექტორზე გაცემული ანაზღაურება

|                             | 2023  | 2022 | 2021 |
|-----------------------------|-------|------|------|
| შრომის ანაზღაურება მთლიანად | 14080 | 5880 | 0    |